

## ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დავით მაღლაკელიძის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

რუსთავი 2016 წელი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად, წარმოვადგენ ჩემს მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშს.

2014 წლის ივლისიდან ვარ ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარე, ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ წევრი, ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოს „საფინანსო-საბიუჯეტო“ კომისიისა და „სამანდატო საპროცედურო და ეთიკის“ კომისიის წევრი.

მოგახსენებთ, საკრებულო რუსთავის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც განიხილავს, განსაზღვრავს და ამტკიცებს ქალაქის მართვის პოლიტიკას. რუსთავის საკრებულო უფლებამოსილი ორგანოა, რომელიც მუნიციპალიტეტში დადგენილებებსა და განკარგულებებს ღებულობს.

საკრებულო განიხილავს და ამტკიცებს ქალაქის მერის მიერ წარმოდგენილ პროექტებსა და პროგრამებს. საკრებულო მონიტორინგს უწევს ქალაქის აღმასრულებელი ხელისუფლების მუშაობას.

## ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარებული სხდომების, ბიუროების და კომისიის მუშაობაში მონაწილეობა

- 2016 წელს ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ჩაატარა:

ბიუროს სხდომა - 21

საკრებულოს სხდომა - 24

მათ შორის 10 - რიგითი სხდომა და 14 - რიგგარეშე სხდომა.

მიღებული იქნა: - 294 განკარგულება; 25 - დადგენილება;

რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე ორი მუდმივმოქმედი კომისიის წევრია და სისტემატურად მონაწილეობს კომისიის სხდომებში.

„სამანდატო საპროცედურო და ეთიკის“ კომისიამ წლის განმავლობაში გამართა 19 სხდომა, განხილული და მომზადებულია 100 საკითხი

„საფინანსო-საბიუჯეტო“ კომისიამ მიმდინარე წელს გამართა 18 სხდომა, განხილულია და მომზადებულია 89 საკითხი.

მე როგორც კომისიის წევრი აქტიურად ვმონაწილეობდი კომისიის მუშაობაში.

## მოქალაქეებთან შეხვედრა

საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე შემოსულია \_146\_ განცხადება, მათზე კანონმდებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში მოხდა სათანადო რეაგირება. უმეტესი ნაწილი, შესაძლებლობის ფარგლებში დაკმაყოფილდა, ნაწილზე კი მუშობა მიმდინარეობს.

მოსახლეობის პრობლემების ოპერატიულად გადაჭრის მიზნით, ტრადიციულად საკრებულოს თავმჯდომარესთან მოქალაქეთა მიღება თავისუფალია. მოქალაქეებს ვდებულობთ ნებისმიერ დროს, წინასწარი ჩაწერის გარეშე.

კომისიების, ბიუროს და საკრებულოს სხდომებზე მოქალაქეების, პრესისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების დასწრება თავისუფალია.

მოქალაქეებთან შეხვედრის დროს ძირითად საჭიროებად იკვეთება ინფრასტრუქტურული, სოციალური და დასაქმების პრობლემები. ქალაქის მთავრობასთან ერთად ინტენსიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მუშაობა, როგორც არის მიწისქვეშა კომუნიკაციების, მათ შორის სანიაღვრე და გზის საფარის მოწესრიგება, ავარიული და დაზიანებული სახლების აღდგენა-რეაბილიტაცია და სხვა. გარდა მოქალაქეებთან საკრებულოში შეხვედრებისა, ვახორციელებთ გასვლით შეხვედრებს მუნიციპალიტეტის ათივე რაიონში საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად. ეს შეხვედრები ემსახურება ჩვენი თანამოქალაქეებისთვის აქტუალური საკითხების უკეთ (ადგილზე) გაცნობას, ქალაქში არსებული ინფრასტრუქტურული, სოციალური, ურბანული, დასაქმებისა და სხვა პრობლემების განსაზღვრას პრიორიტეტების მიხედვით და მათზე შემდგომ რეაგირებას.

# საკრებულოს გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება, მიღება და

## შემდგომი შესრულება

რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, რუსთავის მერიასთან ერთად აქტიურად ვმონაწილეობთ ქალაქის მნიშვნელოვანი პროექტების განხილვაში. პერიოდულად ვწარმოებთ მერიის სამსახურების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მოსმენას, ვიძლევიტ რეკომენდაციებს და ერთობლივად ვსახავთ სამომავლო გეგმებს. სწორედ ასეთი ერთობლივი მუშაობის შედეგია ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება. რუსთავის მუნიციპალიტეტში სულ ოცდაოთხი სოციალური პროგრამა ხორციელდება:

სოც. პროგრამები:

- მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამა;
- სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა;
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სასმელი წყლის გადასახადზე შეღავათის დაწესების პროგრამა;
- მოქალაქეთა ინდივიდუალური დახმარების პროგრამა;
- უხუცეს დღეგრძელთა დახმარების პროგრამა;
- მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებულ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა;
- 2008 წლის აგვისტოს თვეში, რუსეთ-საქართველოს ომში და 2004 წლის აგვისტოში, შიდა ქართლში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებისა და სამშვიდობო ოპერაციების დროს დაღუპულ რუსთაველ ჯარისკაცთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა;
- მარტოხელა სოციალურად დაუცველ პირთა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯების დაფარვის პროგრამა;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯების დაფარვის პროგრამა;
- სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯების დაფარვის პროგრამა;

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე შეღავათის დაწესების პროგრამა;
- სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათების დაწესების პროგრამა;
- ვეტერანებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა;
- ვეტერანების სოციალური დაცვის პროგრამა;
- ზოგიერთი ააიპ-ის და სსიპ-ის თანამშრომლებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური დახმარების პროგრამა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა;
- მინდობითი ოჯახების კომუნალური დავალიანებების დაფარვის პროგრამა;
- აუტიზმის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა;
- სადღესასწაულო სოციალური ღონისძიებების პროგრამა;
- უფასო სასადილოებით მომსახურების პროგრამა;
- C ჰეპატიტით დაავადებული მოქალაქეების მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისთვის საჭირო კვლევების დაფინანსების პროგრამა;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამა;

## მონაწილეობა სხვადასხვა შეხვედრებსა და აქტივობაში

საკრებულოს ხელმძღვანელობა ქვემო ქართლის გუბერნატორთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრებში აქტიურად მონაწილეობს. ხსენებული საბჭოს ძირითად მიზანს აგილობრივი მუნიციპალიტეტის დახმარება, მათთვის რეკომენდაციების მიცემა და ადგილობრივი პრობლემების ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიტანა წარმოადგენს.

საკრებულოს თავმჯდომარე საქართველოს ანტიკორუფციული საბჭოს წევრია.

ინვესტიციების მოზიდვისა და არსებული ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, საკრებულოში უცხო ქვეყნების დელეგაციებს ვმასპინძლობთ. გაფორმდა მემორანდუმი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ხმელნიცკის საქალაქო საბჭოს შორის. მხარეები უზრუნველყოფენ ორ ქალაქს შორის ექსპერტებისა და სპეციალისტებისგან შემდგარი დელეგაციების გაცვლითი ვიზიტების ორგანიზებას. მიმდინარე წლის თებერვალში მონაწილეობა მივიღეთ ევროსაბჭოს მიერ ორგანიზებულ ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესში.

აშშ-ს „დემოკრატიული მმართველობისა და სამართლის ნორმების ცენტრის“ მიწვევით ვიმყოფებოდით ამერიკის შეერთებულ შტატებში ოჰაიოს ადგილობრივი თვითმმართველობის გასაცნობად.

რუსთავის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ჩატარდა ეკონომიკური ფორუმი. მასში მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის, უკრაინის, ლიტვისა და ესტონეთის დელეგაციებმა. გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან თანამშრომლობა. ხშირად იმართება მოსწავლე-ახალგაზრდობის პროგრამების პრეზენტაცია.

## შესრულებული პროექტები და პროგრამები

2016 წელს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდმა რვა მილიონ ექვსას ორმოცდაათი ათასი ლარის რვა პროექტი განახორციელა. ადგილობრივი სახსრებით შევძელით ხუთი მილიონ ხუთას სამი ათასი ლარის ორმოცდაორი პროექტის განხორციელება.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს განსახორციელებელი პროექტები ძირითადად ეზოების კეთილმოწყობის სამშენებლო-სარეაბილიტაციო და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პრობლემებს მოიცავს. აღნიშნული სამუშაოების ღირებულება მთლიანად თოთხმეტი მილიონ ას ორმოცდაათი ათასზე მეტია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მერაბ კოსტავას გამზირის სრული რეაბილიტაცია.

საბავშვო ბაღების სველი წერტილებისა და წყალკანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია და სხვა.

ზემოთ აღნიშნული პროექტები შემდეგ სამუშაოებს მოიცავს:

- მოდებადის ქუჩის გაგრძელების ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია;
- მესხიშვილის ქუჩის ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია სასტუმროს მ/ტერიტორიიდან თოდრიის ქუჩის გადაკვეთამდე, არსებული დაზიანებული გზის საფარის რეაბილიტაცია. საპარკინგე ადგილების მოწესრიგება, მესხიშვილის ქუჩის ტროტუარების რეაბილიტაცია სასტუმროს მ/ტერიტორიიდან ლეონიძის ქუჩის გადაკვეთამდე, არსებული დაზიანებული საფარის რეაბილიტაცია;
- კოსტავას გამზირისა და დონეცკელ მეტალურგთა ქუჩის შიდა ეზოების ა/ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები კოსტავას ქუჩის N22-24-26-28-30-32-34-36 და დონეცკ-მეტალურგთა N3-5-7-9-11-13-15-17 ეზოები;
- სამგორის ქუჩა N3ა-31 გზის საფარის რეაბილიტაცია;
- წმინდა ნინოს ქუჩის დარჩენილი ნაწილის ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია, არსებული დაზიანებული გზის საფარის რეაბილიტაცია ტროტუარებით;
- ქალაქ რუსთავში მ. კოსტავას გამზირის N1-2-3-4-5-6-7-8-9-10-11-12-13-14-15-16-17 და ფიროსმანის ქუჩის N3-5 საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია-მინათების მოწყობით და კოსტავას გამზირის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები;
- რუსთავის საბავშვო ბაღების სველი წერტილების და წყალკანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია (15 ბაღი) NN 1,6,10,11,17,20,21,23,27,31,36,37,40,41,43;
- ქალაქ რუსთავში გაგარინის ნაწილობრივი ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია(დუმბადის გაგრძელება, კომუნალების ქუჩა, გაგარინის და ბოსტანქალაქის დამაკავშირებელი, ფიროსმანის და მშენებელთა ქუჩის დამაკავშირებელი);

- ქალაქ რუსთავში, ფიროსმანის და დუმბაძის ქუჩების დამაკავშირებელი გზის გაგანიერების (ტროტუარისა და განატების მოწყობით) და გიორგაძისა და მშვიდობის ქუჩების დამაკავშირებელი გზის ა/ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქალაქ რუსთავში პუშკინის ქუჩის მე-2 მონაკვეთის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქალაქ რუსთავში კოსტავას გამზირის მიმდებარე ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ჭავჭავაძის და რუსთაველის ქუჩის დამაკავშირებელი გზის გაგანიერება და განათების მოწყობა;
- მე-8 მ/რ-ნი N9 და N2 -ის მიმდებარე ტერიტორიის ასფალტის საფარის მოწყობა;
- ქალაქ რუსთავში გზების საფარის ორმული დამუშავების და კუზიანი ხიდის სადეფორმაციო ნაკერების შეკეთების სამუშაოები;
- ქალაქ რუსთავში კოსტავას გამზირი NN15-16-ის წინ და ბარათაშვილისა და კოსტავას გამზირის გადაკვეთაზე შუქნიშნების მოწყობის სამუშაოები;
- ქალაქ რუსთავში შარტავას გამზირი N7 ცენტრალურ გზაზე შუქნიშნის მოწყობისა და ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები;
- მეგობრობის გამზირი N15, 19, 23 კორპუსების ფასადების შეღებვის (აივანზე ალუკობონდი) სამუშაოები;
- ქალაქ რუსთავში მე-17 მ/რ-ნი N26 საცხ. კორპ.მ/ტ სანიაღვრე ქსელის მოწყობისა და მე-12 მ/რ-ნის N2 და მესხიშვილის 1-ელი გასასვლელი N5-ში პანდუსების მოწყობის სამუშაოები;
- ქალაქ რუსთავში მეგობრობის გამზირზე გაზონებისა და ტროტუარების მოწყობის (კორპ. N1 და N2 - ის მ/ტ) სამუშაოები;
- დიდების მოედნიდან ხიდამდე ტროტუარების და დეკორატიული ღობის მოწყობა;
- ჩეხოვის ქუჩა N10ა საცხოვრებელი სახლის ტკეჩისკედლიანი ფასადის გამაგრება;
- მე-11 მ/რ-ნი N7 და N8 დევნილების ჩასახლებულ შენობებში სადარბაზოების შესასვლელების მოწყობა;
- ქალაქ რუსთავში მერიის შენობის მარცხენა ფლიგელის მე-4 სართულის მარჯვენა მხარის ოთახების სარემონტო სამუშაოები;
- N6 საბავშვო ბაღის რემონტი და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- მე-14 მ/რ-ნი N44-45 მ/ტ ბავშვთა გასართობი კუთხის მოწყობა;
- ქალაქ რუსთავში კოსტავას გამზ. N22-თან და მესხიშვილის ქუჩის მეორე გასასვლელის N4 და N6 შორის სპორტული მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ვახუშტის ქუჩაზე არსებული საჭიდაო დარბაზის სარემონტო სამუშაოები;
- 10 სპორტული მოედნის მოწყობა;
- წმ. ნინოს ქუჩა N1-ში მდებარე კულტურის ცენტრის შენობის შიდა სარემონტო სამუშაოები;

- წმინდა ნინოს ქუჩიდან ცენტრალურ პარკში ჩასასვლელი კიბის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- საცხოვრებელი კორპუსების სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქალაქ რუსთავში რუსთაველის ქუჩის შიდა ეზოების სარეაბილიტაციო და სანიაღვრე სისტემების მოწყობის სამუშაოები;
- ქალაქ რუსთავში მუზეუმის შენობის სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქალაქ რუსთავში სპორტის ქ. N2, შარტავას გამზ. N9 ეზოებში ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაციისა და დ. გარეჯის N21 გარშემო სარინერისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ქალაქ რუსთავში შარტავას გამზირზე შუა გამყოფი ზოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქალაქ რუსთავში მეგობრობის გამზირზე გაზონების მოწყობის (კორპუსი N15 - დან კორპუსი N 27 - მდე დეკორატიული კედლით და ღობით) სამუშაოები;
- ქალაქ რუსთავში სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების (ე.წ. „ მწოლიარე პლიციელები“) მოწყობის სამუშაოები;
- ქალაქ რუსთავში სანაპიროს ქუჩაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები
- ბათუმის ქ. N30-ის 1-ლი სადარბაზოს მე-2 და მე-3 სართულების აივნების სარეკონსტრუქციო სამუშაოები;
- ქალაქ რუსთავში კლდიაშვილის N8-ში მდებარე N20 საბავშვო ბაღის შენობის გამაგრება-გამლიერების სამუშაოები;
- ქალაქ რუსთავში გზების საფარის ორმული დამუშავების სამუშაოები;
- ქ. რუსთავში საცხოვრებელ კორპუსებში პანდუსების მოწყობისა და N37 ბაღთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (მე-16 მ/რ-ნი);
- 112- ის შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ქალაქ რუსთავში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი კორპუსების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქალაქ რუსთავში შიდა ეზოებში სკვერების მოწყობის სამუშაოები
- ქალაქ რუსთავში 5 სპორტული და და ერთი საბავშვო მოედნის მოწყობის სამუშაოები;
- ქალაქ რუსთავში საცხოვრებელ სახლებზე სანომრე ფირნიშების რეაბილიტაციისათვის (ქალაქის შემოსასვლელიდან მეტალურგიულ ქარხნამდე ცენტრალურ ქუჩაზე მიმდებარე შენობები)საჭირო სამუშაოები;
- იაღლუჯის მთაზე შემოღობვის მოწყობა;
- ქალაქ რუსთავში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი კორპუსების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქალაქ რუსთავში სამხარეო გუბერნიის მიმდებარედ დროშების მოწყობის სამუშაოები;

## მიმდინარე და სამომავლო გეგმები

ანგარიშის ბოლოს სამომავლო გეგმებზე მოკლედ მოგახსენებთ. ჩემთვის საკრებულოს თავმჯდომარეობა, უპირველეს ყოვლისა უდიდესი პასუხისმგებლობაა ჩვენი ქალაქისა და გუნდის წინაშე, რომელმაც ნდობა გამომიცხადა. რუსთაველების წინაშე მდგარ პრობლემებს კარგად ვიცნობ. ძირითადი საზრუნავი და პრიორიტეტი ინვესტიციების მოზიდვა და სამუშაო ადგილების შექმნაა. რუსთავის მოსახლეობისათვის სამუშაო ადგილების შექმნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რათა ერთ დროს სამრეწველო ქალაქის სახელით ცნობილმა რუსთავმა ძველი დიდება დაიბრუნოს.

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის პრიორიტეტური და სამომავლო გეგმები:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია
- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია
- გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია
- ქუჩებში ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებისა და საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი აღნიშვნების მოწყობა
- კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია
- საყოფაცხოვრებო კორპუსების კეთილმოწყობა
- ამხანაგობების ხელშეწყობა
- ქალაქში არსებული ინფრასტრუქტურის და გამწვანების მოვლა პატრონობა
- კეთილმოწყობის ღონისძიებები
- სკვერების, ეზოების, ძეგლებისა და მემორიალების რეაბილიტაცია
- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რემონტი

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წელს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. ქალაქში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ოცი საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 6100 ბავშვი. 2017 წელს სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ გაიხსნება დამატებითი ჯგუფები, რაც გამოიწვევს აღსაზრდელთა რაოდენობის ზრდას. 2017 წელს დაგეგმილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა. გაგრძელდება ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის“ დაფინანსება და კეთილმოწყობა.

ჩვენი პრიორიტეტი შემდგომ წელს იქნება, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის დაფინანსება და ხელშეწყობა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას და სოციალურ უზრუნველყოფას, მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის მთავარი პრიორიტეტია. თვითმმართველობა არსებული რესურსის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. მხოლოდ სოციალურ პროგრამებში ორ მილიონ ხუთასი ათასზე მეტი ლარი ჩაიდება.

მიგვაჩნია, რომ 2017 წელს ქალაქში სოციალური ფონი გაუმჯობესდება. გაიზრდება სოციალურად უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა. ვთლით რომ, 2017 წელი უფრო წარმატებული იქნება რუსთავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის.

რუსთავის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით მაღლაკელიძე